შ.პ.ს. “კონსტუდიო”

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, მ. ხერგიანის ქ. №19, ს/კ 01.11.10.008.221,
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2024

<u>განსახილველი საპროექტო დოკუმენტაცია:</u>

1. შ.პ.ს. "გენგეო"-ს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. არქიტექტურული პროექტის ელექტრონული (pla) ვექტორული ფაილი.
3. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ელექტრონული (pdf) ფაილი.
4. "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით შესრულებული კონსტრუქციების მოდელირება-გაანგარიშების (chg) ფაილი.

<u>საერთო:</u>

საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა 12 სართულიანია, ერთი მიწისქვეშა (ავტოსადგომი) სართულით. სამშენებლო უბნისათვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა – 0.50 კპა; საანგარიშო სეისმურობა – 8 ბალი.

შენობისთვის საძირკვლების ფუძედ მიღებულია I სგე – სუბარგილიტები, ქვიშაქვის შუაშრეებით (ფენა №2): $\varphi = 22^0$; E = 30,5 მპა; c=28 კპა. საძირკვლები – 100 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილა. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ-კავშირებიანი სისტემით: სვეტები სიმაღლეში ცვალებადი განიკვეთებით 400X1000, 400X700, 400X400; კოჭები განიკვეთით 400X550(h) და 200X500(h); 180 მმ სისქის გადახურვების ფილები; 200 სმ სისქის დიაფრაგმა-კედლები. მზიდი კონსტრუქციებისათვის ბეტონის კლასი მიღებულია B25. სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია AIII, AI.

შენობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი სისტემის სივრცული მოდელირება-გაანგარიშება შესრულებულია "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით, სტანდარტული სპექტრული მეთოდით.

მოცემული კონსტრუქციული ნაწილის მხაზველობითი ნაწილი (განიკვეთები და არმირება) შეესაბამება და ასახავს კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შედეგებს. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს. ცალკეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებული იქნა ჩვენს მიერ, პროექტის ავტორებმა გაითვალისწინეს, მიიღეს და ასახეს მუშა დოკუმენტაციის საბოლოო ვერსიაში.

დასკვნა:

წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ

ედიშერ წოწერია



თბილისი 12-08-2024